საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №108

2020 წლის 5 მაისი

ქ. თბილისი

„საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (სსბასს-ების) საფუძველზე ფინანსური აღრიცხვა-ანგარიშგების წარმოების შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის მე-14 მუხლის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

დამტკიცდეს ინსტრუქცია „საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (სსბასს-ების) საფუძველზე ფინანსური აღრიცხვა-ანგარიშგების წარმოების შესახებ“ და თანდართული დანართები:

ა) სსბასს 1 – ფინანსური ანგარიშგების წარგენა (დანართი №1);

ბ) სსბასს 2 – ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება (დანართი №2);

გ) სსბასს 3 – სააღრიცხვო პოლიტიკა, ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში და შეცდომები (დანართი №3);

დ) სსბასს 4 – უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებებით გამოწვეული შედეგები (დანართი №4);

ე) სსბასს 5 – ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები (დანართი №5);

ვ) სსბასს 9 – შემოსავალი გაცვლითი ოპერაციებიდან (დანართი №6);

ზ) სსბასს 12 – მატერიალური მარაგები (დანართი №7);

თ) სსბასს 13 – იჯარა (დანართი №8);

ი) სსბასს 14 – ანგარიშგების თარიღის შემდგომი მოვლენები (დანართი №9);

კ) სსბასს 16 – საინვესტიციო ქონება (დანართი №10);

ლ) სსბასს 17 – ძირითადი აქტივები (დანართი №11);

მ) სსბასს 19 – ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები (დანართი №12);

ნ) სსბასს 20 – დაკავშირებულ მხარეთა შესახებ განმარტებითი შენიშვნები (დანართი №13);

ო) სსბასს 21 – ფულადი სახსრების არწარმომქმნელი აქტივების გაუფასურება (დანართი №14);

პ) სსბასს 23 – შემოსავალი არაგაცვლითი ოპერაციებიდან (გადასახადები და ტრანსფერები) (დანართი №15);

ჟ) სსბასს 24 – ბიუჯეტის შესახებ ინფორმაციის წარდგენა ფინანსურ ანგარიშგებაში (დანართი №16);

რ) სსბასს 26 – ფულადი სახსრების წარმომქმნელი აქტივების გაუფასურება (დანართი №17);

ს) სსბასს 31 – არამატერიალური აქტივები (დანართი №18);

ტ) სსბასს 32 – შეღავათიანი მომსახურების შეთანხმებები: უფლების გადამცემი (დანართი №19);

უ) სსბასს 34 – ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება (დანართი №20);

ფ) სსბასს 35 – კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება (დანართი №21);

ქ) სსბასს 36 – ინვესტიციები მეკავშირე ერთეულებსა და ერთობლივ საქმიანობებში (დანართი №22);

ღ) სსბასს 37 – ერთობლივი შეთანხმებები (დანართი №23);

ყ) სსბასს 38 – სხვა ერთეულებში წილების გამჟღავნება (დანართი №24);

შ) სსბასს 39 – დაქირავებულთა სარგებელი (დანართი №25);

ჩ) სსბასს 40 – საჯარო სექტორის ერთეულთა გაერთიანებები (დანართი №26);

ც) კონცეპტუალური საფუძვლები საჯარო სექტორის ერთეულების ზოგადი დანიშნულების ფინანსური ანგარიშებისთვის (დანართი №27);

ძ) გლოსარი – ტერმინთა განმარტებანი (დანართი №28);

წ) მითითებები სსბასს 40-ის გამოყენებასთან დაკავშირებით (დანართი 29).

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2021 წლის 4 თებერვლის ბრძანება №23 - ვებგვერდი, 05.02.2021 წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2024 წლის 31 დეკემბრის ბრძანება №436 - ვებგვერდი, 31.12.2024 წ.

მუხლი 1[1]

დანართი №24-ით, დანართი №26-ით და დანართი №29-ით იხელმძღვანელონ ცენტრალური ხელისუფლების საბიუჯეტო ორგანიზაციებმა;

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2024 წლის 31 დეკემბრის ბრძანება №436 - ვებგვერდი, 31.12.2024 წ.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და მისი მოქმედება გავრცელდეს 2020 წლის 1 იანვრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

საქართველოს ფინანსთა მინისტრი ივანე მაჭავარიანი

ინსტრუქცია
საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (სსბასს-ების) საფუძველზე ფინანსური აღრიცხვა-ანგარიშგების წარმოების შესახებ

თავი I. ზოგადი დებულებები

მუხლი 1. ინსტრუქციის მიზანი და მოქმედების სფერო

1. წინამდებარე ინსტრუქცია, საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის საფუძველზე განსაზღვრავს საბიუჯეტო ორგანიზაცი(ებ)ის (შემდგომში – ერთეულ(ებ)ის) მიერ, საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (შემდგომში - სსბასს) საფუძველზე ბუღალტრული აღრიცხვის წარმოების, ფინანსური ანგარიშგების მომზადების და წარდგენის წესებს და პირობებს.
2. ინსტრუქციის მიზანია სახელმწიფო სახსრების სწორი და გამჭვირვალე აღრიცხვა-ანგარიშგების უზრუნველსაყოფად, საბიუჯეტო ორგანიზაციებისთვის ერთიანი მეთოდოლოგიური პრინციპების და წესების განსაზღვრა.

მუხლი 2. სააღრიცხვო სისტემა და სსბასს-ების გამოყენება

1. ერთეულები ბუღალტრულ აღრიცხვას აწარმოებენ და ფინანსურ ანგარიშგებას ამზადებენ წინამდებარე ინსტრუქციით და ბრძანებით დამტკიცებული, დარიცხვის მეთოდის შესაბამისი, შემდეგი სსბასს-ების 2018 წლის ვერსიის საფუძველზე:

ა) სსბასს 1 – ფინანსური ანგარიშგების წარდგენა;
ბ) სსბასს 2 – ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ ანგარიშგება;
გ) სსბასს 3 – სააღრიცხვო პოლიტიკა, ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში და შეცდომები;
დ) სსბასს 4 – უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებებით გამოწვეული შედეგები;
ე) სსბასს 5 – ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები;
ვ) სსბასს 9 – შემოსავალი გაცვლითი ოპერაციებიდან;
ზ) სსბასს 12 – მატერიალური მარაგები;
თ) სსბასს 13 – იჯარა;
ი) სსბასს 14 – ანგარიშგების თარიღის შემდგომი მოვლენები;
კ) სსბასს 16 – საინვესტიციო ქონება;
ლ) სსბასს 17 – ძირითადი აქტივები;
მ) სსბასს 19 – ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები;
ნ) სსბასს 20 – დაკავშირებულ მხარეთა შესახებ განმარტებითი შენიშვნები;
ო) სსბასს 21 – ფულადი სახსრების არწარმომქმნელი აქტივების გაუფასურება;
პ) სსბასს 23 – შემოსავალი არაგაცვლითი ოპერაციებიდან (გადასახადები და ტრანსფერები);
ჟ) სსბასს 24 – ბიუჯეტის შესახებ ინფორმაციის წარდგენა ფინანსურ ანგარიშგებაში;
რ) სსბასს 26 – ფულადი სახსრების წარმომქმნელი აქტივების გაუფასურება;
ს) სსბასს 31 – არამატერიალური აქტივები;
ტ) სსბასს 32 – შეღავათიანი მომსახურების შეთანხმებები: უფლების გადამცემი;

უ) სსბასს 34 – ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება;
ფ) სსბასს 35 – კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება;
ქ) სსბასს 36 – ინვესტიციები მეკავშირე ერთეულებსა და ერთობლივ საქმიანობებში;
ღ) სსბასს 37 – ერთობლივი შეთანხმებები;
ყ) სსბასს 38 – სხვა ერთეულებში წილების გამჟღავნება (მოქმედებს მხოლოდ ცენტრალური ხელისუფლების საბიუჯეტო ორგანიზაციებისათვის);
შ) სსბასს 39 – დაქირავებულთა სარგებელი;
ჩ) სსბასს 40 – საჯარო სექტორის ერთეულთა გაერთიანებები (მოქმედებს მხოლოდ ცენტრალური ხელისუფლების საბიუჯეტო ორგანიზაციებისათვის).
2. ერთეულებს შეუძლიათ ფინანსური აღრიცხვა-ანგარიშგების საწარმოებლად დამატებით გამოიყენონ წინამდებარე ინსტრუქციით სამოქმედოდ შემოღებული სსბასს-ების გარდა სხვა მოქმედი სსბასს-ები.
3. წინამდებარე ინსტრუქცია განსაზღვრავს ერთეულების მიერ სსბასს-ების გამოყენების ძირითად სააღრიცხვო პოლიტიკებს. იმ შემთხვევაში, თუ მოცემული ინსტრუქციით არ არის განსაზღვრული კონკრეტული ეკონომიკური მოვლენის ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების სააღრიცხვო პოლიტიკა, ერთეულებს საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით, სსბასს-ების მოთხოვნების შესასრულებლად, უფლება აქვთ შეიმუშაონ თავიანთი სააღრიცხვო პოლიტიკა.
4. ერთეულებს თავიანთი სააღრიცხვო პოლიტიკის შემუშავებისას, ასევე, ფინანსური ანგარიშების მომზადების და წარდგენის მიზნებისათვის, შეუძლიათ გამოიყენონ წინამდებარე ინსტრუქციით თანდართული „საჯარო სექტორის ერთეულების საერთო დანიშნულების ფინანსური ანგარიშებისთვის კონცეპტუალური საფუძვლების“ 2018 წლის ვერსია.
5. ბრძანებით დამტკიცებულია ასევე საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (სსბასს-ების) ტერმინთა განმარტებების გლოსარის 2018 წლის ვერსია.
6. იმ ოპერაციების და სხვა მოვლენების შესახებ სააღრიცხვო პოლიტიკის შემუშავებისას, რომელთა შესაბამისი სსბასს-ები არ არსებობს, ერთეულმა შეიძლება გამოიყენოს საუკეთესო საერთაშორისო ან ეროვნული პრაქტიკა მსგავსი ოპერაციების და სხვა მოვლენების შესახებ.
7. ბრძანებით დამტკიცებული თითოეული სტანდარტის ძირითადი ტექსტი, ფინანსურ ანგარიშგებაში/განმარტებით შენიშვნებში ინფორმაციის ასახვასთან/გამჟღავნებასთან დაკავშირებით. მოიცავს აბზაცებს, რომლებიც მოცემულია გამუქებული და ჩვეულებრივი შრიფტით, რომელთაც თანაბარი იურიდიული ძალა გააჩნია. გამუქებული შრიფტით გამოყოფილი აბზაცები ძირითადი პრინციპების აღსანიშნავად არის გამოყენებული.
8. წინამდებარე ინსტრუქციაში თითოეული სტანდარტის გამოყენებასთან დაკავშირებით მოცემულია დამატებითი მითითებები, აგრეთვე, გარდამავალ დებულებებში მოცემულია სტანდარტების შესაბამისი პუნქტები/ქვეპუნქტები, რომლებიც საკანონმდებლო და სხვა ნორმატიული აქტების მოთხოვნებიდან გამომდინარე, ერთეულების მიერ არ არის სავალდებულო გამოსაყენებლად

ინსტრუქციის ამოქმედებიდან სამი წლის განმავლობაში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც წინამდებარე ინსტრუქციით არ არის ნებადართული ან სხვაგვარად განისაზღვრება აღნიშნული დებულებები.

9. ერთეულებს, თავიანთი საქმიანობის სპეციფიკის შესაბამისად, განმარტებით შენიშვნებში სტანდარტით მოთხოვნილი ინფორმაციის გარდა შეუძლიათ დამატებით გაამჟღავნონ სხვა ფინანსური და არაფინანსური ინფორმაცია, რომელიც გაზრდის ფინანსური ანგარიშგების აღქმადობის ხარისხს და დაეხმარება ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე ოპტიმალური გადაწყვეტილებების მიღებაში.

10. ბრძანებით დამტკიცებული თითოეული სტანდარტი გააზრებული უნდა იქნეს მისი მიზნის, დასკვნის საფუძვლის გათვალისწინებით, თუ ასეთი არსებობს, ასევე, სტანდარტების წინასიტყვაობის და ფინანსური ანგარიშგების წარდგენის კონცეპტუალური საფუძვლების კონტექსტში. ასევე, გათვალისწინებული უნდა იყოს საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის, საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის, სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ საქართველოს კანონის, და სახელმწიფო სექტორის საქმიანობის მარეგულირებელი და აღრიცხვა-ანგარიშგებასთან დაკავშირებით სხვა საკანონმდებლო და ნორმატიული აქტების მოთხოვნები. ამასთან, სახელმწიფო ფინანსების სტატისტიკის 2014 წლის მეთოდოლოგიასთან (GFSM 2014) ან/და მის საფუძველზე მომზადებულ საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციასთან, შეუსაბამობის შემთხვევაში, ფინანსური აღრიცხვა/ანგარიშგების მიზნებისთვის, საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (IPSAS) განსაზღვრებებს, კლასიფიკაციებს და მითითებებს ენიჭება უპირატესი მნიშვნელობა.

11. ბუღალტრული აღრიცხვის წარმოებისას ან/და ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას/წარდგენისას ერთეულებს შეუძლიათ იხელმძღვანელონ სსბასს-ების საილუსტრაციო მაგალითებით, მითითებებით დანერგვაზე და მითითებებით გამოყენებაზე. საილუსტრაციო მაგალითების და დანერგვაზე/გამოყენებაზე მითითებების გარდა სსბასს-ების სხვა დანართები მოიცავს დებულებებს, რომლებიც წარმოდგენილია მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისათვის და არ უკავშირდება ბუღალტრული აღრიცხვის წარმოებას ან/და ფინანსური ანგარიშგების მომზადებას/წარდგენას.

12. ერთეულებს უფლება აქვთ გამოიყენონ სსბასს-ების მოქმედი (ინგლისურენოვანი) რედაქცია.

მუხლი 3. სსბასს-ების სავალდებულო მოთხოვნების გამოყენებაზე დაშვებული გამონაკლისები

1. სსბასს-ების სავალდებულო მოთხოვნების გამოყენებიდან გადახრის საფუძველი შეიძლება იყოს ერთეულის საქმიანობის სპეციფიკა, საქართველოს საბიუჯეტო სისტემის პრინციპები, სახაზინო პროცედურები, საქმიანობის მარეგულირებელი კანონმდებლობა და სხვა, ამასთან, იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია წინამდებარე ინსტრუქციით განსაზღვრული სსბასს-ების ამა თუ იმ სავალდებულო მოთხოვნის შესრულება, ერთეულმა

აღნიშნული ფაქტი უნდა გაითვალისწინოს სააღრიცხვო პოლიტიკის შემუშავებისას და გაამჟღავნოს ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში, შესაბამისი გადახვევ(ებ)ის მიზეზ(ებ)ის ახსნით.

2. ნებადართულია საერთაშორისო ხელშეკრულებებით განსაზღვრული პროექტების (მათ შორის, მოსამზადებელი ეტაპის) განმახორციელებელმა ერთეულებმა ბუღალტრული აღრიცხვა აწარმოონ დონორების მოთხოვნების შესაბამისად, თუ აღნიშნული გათვალისწინებულია საერთაშორისო ხელშეკრულებით, ხოლ ფინანსური ანგარიშგება მოამზადონ აღნიშნული ინსტრუქციის მოთხოვნების გათვალისწინებით.

3. სახელმწიფო ერთეულებმა, კანონმდებლობით განსაზღვრულ შემთხვევებში, შესაძლებელია ბუღალტრული აღრიცხვა აწარმოონ კერძო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, რომლებიც თავსებადია საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებთან (სსბასს-ებთან), ხოლო ფინანსური ანგარიშგება მოამზადონ აღნიშნული ინსტრუქციის მოთხოვნების გათვალისწინებით.

მუხლი 4. ტერმინთა განმარტებები

1. წინამდებარე ინსტრუქციის მიზნებისათვის ქვემოთ ჩამოთვლილ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) **ანგარიშვალდებული ერთეული** – საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების, ავტონომიური რესპუბლიკის და ადგილობრივი ხელისუფლების საბიუჯეტო ორგანიზაციები;

ბ) **ბუღალტერი** – ერთეულში სააღრიცხვო ინფორმაციის დამუშავებაზე ან/და ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე პასუხისმგებელი დაქირავებული პირი ან მომსახურების შესყიდვის ხელშეკრულების შესაბამისად განსაზღვრული სხვა კომპეტენტური პირი;

გ) **ბუღალტრული აღრიცხვის დოკუმენტები** – პირველადი აღრიცხვის დოკუმენტები და მაგროვებელი დოკუმენტები;

დ) **ელექტრონული პირველადი აღრიცხვის დოკუმენტი** – ელექტრონული ფორმით შენახული ტექსტობრივი ინფორმაციის ან/და მონაცემთა ერთობლიობა, რომელიც ადასტურებს ეკონომიკური მოვლენის მოხდენის ფაქტს;

ე) **ინდივიდუალური პირველადი აღრიცხვის დოკუმენტი** – ეკონომიკური მოვლენის მოხდენის დამადასტურებელი პირველადი აღრიცხვის დოკუმენტი;

ვ) **კონტროლირებული ერთეული** – ერთეული, რომელიც კონტროლირებულია სხვა ერთეულის მიერ;

ზ) **მაგროვებელი დოკუმენტები** – სააღრიცხვო რეგისტრები, ჟურნალები, მთავარი წიგნი და სხვა მაგროვებელი დოკუმენტები;

თ) **მაკონტროლებელი ერთეული** – ერთეული, რომელიც აკონტროლებს ერთ ან რამდენიმე ერთეულს;

ი) **მატერიალური პირველადი აღრიცხვის დოკუმენტი** – ქაღალდის ან სხვა მატერიალური ფორმით წარდგენილი ინფორმაციის ან/და მონაცემთა ერთობლიობა, რომელიც ადასტურებს ეკონომიკური მოვლენის მოხდენის ფაქტს;
კ) **მთავარი წიგნი** – მაგროვებელი დოკუმენტი, სადაც ბუღალტრული ანგარიშების მიხედვით აისახება ერთეულის ყველა ოპერაცია და მოვლენა, რომელსაც ადგილი აქვს საანგარიშო წლის განმავლობაში. მთავარ წიგნში თითოეული ანგარიშის მიხედვით მიეთითება საწყისი ნაშთი – გასული საანგარიშო წლის შესაბამის ბუღალტრულ ანგარიშზე არსებული საბოლოო ნაშთის საწყის ნაშთად გადმოტანით, საანგარიშო წლის ბრუნვა და გამოიყვანება საბოლოო ნაშთი;
ლ) **ნაერთი (კრებსითი) დოკუმენტი** – ერთი კონკრეტული ეკონომიკური მოვლენის მოხდენის დამადასტურებელი რამოდენიმე პირველადი აღრიცხვის დოკუმენტი;
მ) **პირველადი აღრიცხვის დოკუმენტი** – ეკონომიკური მოვლენის მოხდენის დამადასტურებელი ინდივიდუალური და ნაერთი (კრებსითი) დოკუმენტები;
ნ) **სამუშაო ანგარიშთა გეგმა** – ერთეულის მიერ განსაზღვრული იმ ანგარიშების სტრუქტურიზებული ჩამონათვალი, რომლის შესაბამის ეკონომიკურ მოვლენებსაც აქვს ადგილი ერთეულის საქმიანობის პროცესში და რომელიც, ანალიზის მიზნებისათვის, შეიძლება დამატებით ჩაშლილი იყოს დეტალური ანგარიშების სახით;
ო) **სახელმწიფო კომერციული საწარმო** – სახელმწიფოს, აფხაზეთის ან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის წილობრივი მონაწილეობით მოქმედი საწარმო.
2. ინსტრუქციაში გამოყენებული სხვა ტერმინები განიმარტება სსბასს-ებით და ტერმინთა განმარტებების გლოსარით, ასევე, საქართველოს საბიუჯეტო კოდექსით, საბიუჯეტო კლასიფიკაციით და სხვა საკანონმდებლო და ნორმატიული აქტებით. იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს საბიუჯეტო კოდექსით, საბიუჯეტო კლასიფიკაციით და სხვა საკანონმდებლო და ნორმატიული აქტებით განსაზღვრული ტერმინთა განმარტებები არ შეესაბამება სსბასს-ებით და ტერმინთა განმარტებების გლოსარით გამოყენებულ ტერმინთა განმარტებებს, ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის გამოიყენება სსბასს-ებით და ტერმინთა განმარტებების გლოსარით გამოყენებული ტერმინთა განმარტებები.

თავი II .ბუღალტრული აღრიცხვის წარმოება და ფინანსური ანგარიშგების მომზადება/წარდგენა

მუხლი 5. აღრიცხვის და ანგარიშგების ორგანიზება

1. ერთეული ბუღალტრულ აღრიცხვას აწარმოებს და ფინანსურ ანგარიშგებას ამზადებს ნატურალურ საზომ ერთეულებზე დაყრდნობით, განზოგადებულად, ფულად გამოსახულებაში, მათი ქრონოლოგიური, განუწყვეტელი და დოკუმენტური ასახვით.
2. ერთეული ბუღალტრულ აღრიცხვას აწარმოებს/ფინანსურ ანგარიშგებას ამზადებს დაქირავებული ბუღალტრის მეშვეობით ან სხვა კვალიფიციური ფიზიკური პირის/იურიდიული პირის მიერ მომსახურების გაწევით.

3. ერთეულმა უნდა უზრუნველყოს მის მიერ განხორციელებული ყველა ეკონომიკური მოვლენის ბუღალტრულ ანგარიშებზე ასახვის სისრულე და შიდა კონტროლი.
4. ერთეულმა უნდა უზრუნველყოს სინთეზური და ანალიზური აღრიცხვის ჩანაწერების სისწორის კონტროლის მიზნით, ყოველი თვის ბოლოს ანალიზურ ანგარიშებზე ბრუნვების და ნაშთების შედარება „მთავარი წიგნის“ შესაბამისი ანგარიშების ნაშთებთან. ასევე, ერთეულმა უნდა მოამზადოს ანგარიშებზე არსებული ნაშთებისა და ეკონომიკური მოვლენების შესახებ ბუღალტრული ჩანაწერები საცდელი ბალანსის სახით (ორგანიზაციის მიერ შემუშავებული ფორმატით), საანგარიშგებო წლის დასრულებიდან მომდევნო წლის 31 იანვრამდე.
5. ერთეული, წინამდებარე ინსტრუქციით დადგენილი მოთხოვნების შესასრულებლად, მოქმედი კანონმდებლობისა ან/და საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით განსაზღვრული სააღრიცხვო პოლიტიკის ფარგლებში:
ა) შეიმუშავებს აღრიცხვის და ანგარიშგების შიდა მეთოდურ მითითებებს და წესებს შიდა სააღრიცხვო პოლიტიკის სახით;
ბ) შეიმუშავებს სამუშაო ანგარიშთა გეგმას;
გ) შეიმუშავებს ეკონომიკური მოვლენების ამსახველი დოკუმენტების ფორმებს (უნიფიცირებული სახით ასეთის არარსებობის შემთხვევაში), გაფორმების წესებს, შესაბამისი აღრიცხვის წარმოებისა და კონტროლის მექანიზმებსა და პროცედურებს;
დ) განსაზღვრავს სააღრიცხვო ინფორმაციის დამუშავების ვადებსა და ტექნოლოგიებს;
ე) განსაზღვრავს ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის შიდა პროცედურებს;
ვ) შეიმუშავებს შიდა კონტროლის სისტემას, რომელიც უზრუნველყოფს ერთეულის საქმიანობის ეფექტიანობას, ფინანსური ანგარიშგების უტყუარობას და საქართველოს კანონმდებლობასთან და სამოქმედოდ შემოღებულ სსბასს-ებთან შესაბამისობას.
6. ერთეული ბუღალტრულ აღრიცხვას აწარმოებს და ფინანსურ ანგარიშგებას ამზადებს მატერიალური ფორმით ან/და ელექტრონული საინფორმაციო სისტემების მეშვეობით.

მუხლი 6. ბუღალტრული აღრიცხვის დოკუმენტები
1. ერთეული ბუღალტრულ აღრიცხვას აწარმოებს ეკონომიკური მოვლენების დამადასტურებელი ბუღალტრული აღრიცხვის დოკუმენტების საფუძველზე, მატერიალური ან/და ელექტრონული ფორმით.
2. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ელექტრონულ ბუღალტრული აღრიცხვის დოკუმენტებს აქვს მატერიალური ბუღალტრული აღრიცხვის დოკუმენტების თანაბარი იურიდიული ძალა, ხოლო უფლებამოსილი პირის მიერ განხორციელებულ კვალიფიციურ ელექტრონულ ხელმოწერას - პირადი ხელმოწერის თანაბარი იურიდიული ძალა.
3. ბუღალტრული აღრიცხვის დოკუმენტებია:
ა) ინდივიდუალური და ნაერთი (კრებსითი) პირველადი აღრიცხვის დოკუმენტ(ებ)ი;

ბ) მაგროვებელი დოკუმენტები.

4. ინდივიდუალური ან ნაერთი (კრებსითი) პირველადი აღრიცხვის დოკუმენტ(ებ)ი ადასტურებენ ეკონომიკური მოვლენის მოხდენის ფაქტს, ინდივიდუალური პირველადი აღრიცხვის დოკუმენტის შედგენა უნდა მოხდეს ეკონომიკური მოვლენის მოხდენის მომენტში, ხოლო თუ ეს შეუძლებელია, უშუალოდ მისი დასრულებისთანავე და აღრიცხვაში ასახვის მიზნით, ბუღალტერიას უნდა გადაეცეს ერთეულის მიერ სააღრიცხვო პოლიტიკით დადგენილ ვადებში. ნაერთი (კრებსითი) პირველადი აღრიცხვის დოკუმენტები, რომლებიც შეიძლება მოიცავდეს როგორც შიდა, ასევე, გარე დოკუმენტ(ებ)ს, უნდა შედგეს მოვლენის შინაარსიდან და მონაცემების დამუშავების ტექნოლოგიის თავისებურებებიდან გამომდინარე ერთეულის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო ინფორმაციის დამუშავების ვადების გათვალისწინებით და ბუღალტერიას უნდა გადაეცეს ერთეულის მიერ სააღრიცხვო პოლიტიკით დადგენილ ვადებში.

5. ინდივიდუალური ან ნაერთი (კრებსითი) პირველადი აღრიცხვის დოკუმენტ(ებ)ი მოიცავს:

ა) შიდა დოკუმენტ(ებ)ს – ერთეულის შიდა ოპერაციის/სხვა მოვლენის დამადასტურებელ დოკუმენტ(ებ)ს, ასევე, ერთეულში დამატებით შექმნილ დოკუმენტებს, უნიფიცირებული სახით არარსებობის შემთხვევაში;

ბ) გარე დოკუმენტ(ებ)ს – მეორე მხარისგან მიღებული ან ერთეულის მიერ მეორე მხარისთვის წარდგენილი დოკუმენტ(ებ)ის ორიგინალებს.

6 ინდივიდუალური ან ნაერთი (კრებსითი) პირველადი აღრიცხვის დოკუმენტ(ებ)ი და მათი გამოყენება შესაძლებელია განსაზღვრული იყოს მოქმედი კანონმდებლობით უნიფიცირებული სახით, ან შემუშავებული იყოს ერთეულის მიერ სააღრიცხვო პოლიტიკის ფარგლებში და მათი შედგენა მოითხოვებოდეს შიდა აღრიცხვის პროცედურებით.

7. მატერიალური ფორმით პირველადი აღრიცხვის გარე დოკუმენტ(ებ)ი შედგენილ უნდა იქნეს ორ ან მეტ ეგზემპლარად, მატერიალური ფორმით პირველადი აღრიცხვის შიდა დოკუმენტ(ებ)ი, საჭიროებისამებრ, შეიძლება შედგეს როგორც ერთ, ასევე რამდენიმე იდენტურ ეგზემპლარად. ელექტრონული ფორმით პირველადი აღრიცხვის დოკუმენტების შედგენის წესი განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობით.

8. ინდივიდუალური ან ნაერთი (კრებსითი) პირველადი აღრიცხვის დოკუმენტ(ებ)ი, თუ კანონმდებლობით სხვა რამ არ არის დადგენილი, მოიცავს შემდეგ რეკვიზიტებს:

ა) დოკუმენტის დასახელებას და ნომერს;

ბ) დოკუმენტის შედგენის თარიღს;

გ) ეკონომიკური მოვლენის მოხდენის თარიღს;

დ) ეკონომიკური მოვლენის შინაარსს;

ე) ეკონომიკური მოვლენის მონაწილე პირ(ებ)ის საიდენტიფიკაციო მონაცემებს, ტელეფონ(ებ)ის და მისამართ(ებ)ის მითითებით;

ვ) პასუხისმგებელ პირთა ხელმოწერებს ეკონომიკური მოვლენის მოხდენის ფაქტის დასადასტურებლად;

ზ) ეკონომიკური მოვლენის თანხობრივ და რაოდენობრივ მონაცემებს;
თ) სხვა მონაცემებს, რომლებიც გამომდინარეობს ეკონომიკური მოვლენის შინაარსიდან და მონაცემების დამუშავების ტექნოლოგიის თავისებურებებიდან.
9. ერთეული უზრუნველყოფს ეკონომიკური მოვლენის დამადასტურებელი ინდივიდუალური ან ნაერთი (კრებსითი) პირველადი აღრიცხვის დოკუმენტ(ებ)ის როგორც ფორმის (დოკუმენტის სისრულე, გაფორმების სისწორე, რეკვიზიტების არსებობა და სხვა), ისე შინაარსის (ეკონომიკური მოვლენის კანონიერება, ცალკეული მაჩვენებლების ლოგიკური და არითმეტიკული სიზუსტე და სხვ.) მიხედვით სწორად შედგენის კონტროლს. ფორმის ან შინაარსის მიხედვით არასწორად შედგენილი დოკუმენტ(ებ)ი დოკუმენტის შედგენისათვის პასუხისმგებელ პირ(ებ)ს უნდა დაუბრუნდეს.
10. ინდივიდუალურ ან ნაერთ (კრებსით) პირველადი აღრიცხვის დოკუმენტ(ებ)ში მოცემული ინფორმაცია ქრონოლოგიურად და სისტემატიზებულად, ბუღალტრული აღრიცხვის წარმოების ზოგადი პრინციპების დაცვით აისახება შესაბამის მაგროვებელ დოკუმენტებში. მაგროვებელი დოკუმენტების („მთავარი წიგნის“ ან მსგავსი ფორმატის/დანიშნულების მაგროვებელი დოკუმენტის გარდა) გამოყენების აუცილებლობა, ოპერაციების მოცულობიდან ან/და ორგანიზაციის სიდიდიდან გამომდინარე, განისაზღვრება სააღრიცხვო პოლიტიკით/შიდა აღრიცხვის პროცედურებით. „მთავარი წიგნის“ ან მსგავსი დანიშნულების/ფორმატის მაგროვებელი დოკუმენტის გამოყენება სავალდებულოა ყველა ერთეულისათვის.
11. ბუღალტრული აღრიცხვის დოკუმენტების შედგენა, მათში შესწორებებისა და დამატებების შეტანა დასაშვებია საქართველოს კანონმდებლობისა და ერთეულის მიერ შემუშავებული შესაბამისი პროცედურებისა და უსაფრთხოების ზომების დაცვით, რის შედეგადაც შეუძლებელი იქნება ამ დოკუმენტების სანდოობაში ეჭვის შეტანა.
12. ეკონომიკური მოვლენების დამადასტურებელ ინდივიდუალურ ან ნაერთ (კრებსით) პირველადი აღრიცხვის დოკუმენტ(ებ)ს მატერიალური ფორმით ხელს აწერს (აწერენ) ერთეულის ხელმძღვანელი ან ხელმძღვანელობისთვის პასუხისმგებელი პირი, ბუღალტერი ან ერთეულის შიდა პოლიტიკით განსაზღვრული შესაბამისი უფლებამოსილების მქონე სხვა პირები, ხოლო მაგროვებელ დოკუმენტებს - ბუღალტერი ან ერთეულის შიდა პოლიტიკით განსაზღვრული შესაბამისი უფლებამოსილების მქონე სხვა პირები.
13. ელექტრონული სახით შექმნილ ეკონომიკური მოვლენების დამადასტურებელ ინდივიდუალურ ან ნაერთ (კრებსით) პირველადი აღრიცხვის დოკუმენტ(ებ)ზე სავალდებულოა ერთეულის ხელმძღვანელის ან ხელმძღვანელობისთვის პასუხისმგებელი პირის და ასევე, შიდა პოლიტიკით განსაზღვრული შესაბამისი უფლებამოსილების მქონე პირ(ებ)ის მიერ კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერ(ებ)ის შესრულება ან/და კვალიფიციური ელექტრონული შტამპის დასმა.
14. მატერიალური ფორმით არსებული ფინანსური ანგარიშგებები და ბუღალტრული აღრიცხვის დოკუმენტები, ხელმძღვანელის ან ხელმძღვანელობისთვის პასუხისმგებელი პირის გადაწყვეტილების საფუძველზე,

ინახება დოუკუმენტების შენახვაზე პასუხისმგებელ პირ(ებ)თან, შესაბამისი საანგარიშგებო პერიოდის დასრულებიდან 6 წლის განმავლობაში, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა. დოკუმენტების შენახვაზე პასუხისმგებელი პირ(ებ)ის შეცვლის შემთხვევაში, მატერიალური ფორმით არსებული ფინანსური ანგარიშგებები და ბუღალტრული აღრიცხვის დოკუმენტები უნდა გადაეცეს ხელმძღვანელის ან ხელმძღვანელობისთვის პასუხისმგებელი პირის ბრძანებით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილ პირ(ებ)ს, შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტით.

15. ელექტრონული ფორმით არსებული ფინანსური ანგარიშგებები და ბუღალტრული აღრიცხვის დოკუმენტები ინახება მონაცემთა ბაზებისათვის კანონმდებლობით განსაზღვრული ვადების და პირობების შესაბამისად.

16. ბუღალტრული აღრიცხვის დოკუმენტების და ფინანსური ანგარიშგებების დაკარგვის ან განადგურების შემთხვევაში, ხელმძღვანელის ან ხელმძღვანელობისთვის პასუხისმგებელი პირის გადაწყვეტილების საფუძველზე იქმნება დაკარგვის ან განადგურების მიზეზების შემსწავლელი კომისია. საჭიროების შემთხვევაში, კომისიის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად შესაძლებელია სხვა უწყებების წარმომადგენლების მოწვევა. კომისიის მუშაობის შედეგები ფორმდება აქტით, რომელიც მტკიცდება ხელმძღვანელის ან ხელმძღვანელობისთვის პასუხისმგებელი პირის გადაწყვეტილებით.

მუხლი 7. ეკონომიკური მოვლენების აღრიცხვაში ასახვა

1. ეკონომიკური მოვლენების ბუღალტრულ აღრიცხვაში ასახვისათვის გამოიყენება ორმაგი ჩაწერის პრინციპი. ეკონომიკური მოვლენები ბუღალტრულ აღრიცხვაში აისახება პირველადი აღრიცხვის დოკუმენტების საფუძველზე, დარიცხვის მეთოდით, პირველადი აღრიცხვის დოკუმენტებში მითითებული ეკონომიკური მოვლენის მოხდენის თარიღით და მიეკუთვნება იმ პერიოდის ანგარიშგებას, როდესაც მას ჰქონდა ადგილი, გარდა წინამდებარე ინსტრუქციით და სხვა საკანონმდებლო და ნორმატიული აქტებით განსაზღვრული გამონაკლისი შემთხვევებისა.

2. შესაბამისი ბიუჯეტის ასიგნებების არარსებობის შემთხევაში, საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციით განსაზღვრული კომუნალური მომსახურების და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად სხვა უწყვეტი მომსახურების შესყიდვისას, ასევე საბიუჯეტო წლის დეკემბრის თვის შრომის ანაზღაურებისას, თუ ხარჯის მოცულობის გაანგარიშება ხდება ნამუშევარი დროის ან შესრულებული სამუშაოს მიხედვით და ანგარიშსწორება ხდება მომდევნო საბიუჯეტო წელს, ერთეულის მიერ დასაშვებია ოპერაციების აღრიცხვა პირველადი აღრიცხვის დოკუმენტების მიღების/შექმნის თარიღით და მიკუთვნება იმ პერიოდის ანგარიშგებისთვის, რომელ პერიოდშიც მოხდა მათი მიღება/შექმნა.

მუხლი 8. პასუხისმგებლობები აღრიცხვასა და ანგარიშგებასთან დაკავშირებით

1. ერთეულის აღრიცხვა-ანგარიშგებასთან დაკავშირებით შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, სააღრიცხვო ინფორმაციის დამუშავების ვადებისა და ტექნოლოგიის განსაზღვრაზე, ეკონომიკური მოვლენების ამსახველი დოკუმენტების გაფორმებაზე, შესაბამისი აღრიცხვის წარმოებისა და კონტროლის მექანიზმების

შემუშავებაზე, სააღრიცხვო პოლიტიკისა და პროცედურების განსაზღვრაზე, აღრიცხვის ორგანიზებასა და სამართლიანი და უტყუარი ფინანსური ანგარიშგების წარდგენაზე პასუხისმგებელია ერთეულის ხელმძღვანელი ან ხელმძღვანელობისთვის პასუხისმგებელი პირი.
2. ერთეულის აქტივების მიღებაზე, მოვლა-შენახვასა და გაცემაზე პასუხისმგებლობა ეკისრება კანონმდებლობის შესაბამისად გაფორმებული ხელშეკრულებითა და შიდა ნორმატიული აქტით განსაზღვრულ მატერიალურად პასუხისმგებელ პირ(ებ)ს.
3. ბუღალტრული აღრიცხვის დოკუმენტებში ასახული მონაცემების უტყუარობისათვის, აგრეთვე ბუღალტრული აღრიცხვის დოკუმენტების დროული და ხარისხიანი შედგენისათვის პასუხს აგებენ ამ დოკუმენტების შემდგენი და მათზე ხელის მომწერი პირ(ებ)ი. ბუღალტრული აღრიცხვის დოკუმენტების შენახვაზე პასუხისმგებლობა ეკისრება კანონმდებლობის შესაბამისად გაფორმებული ხელშეკრულებითა და შიდა ნორმატიული აქტით განსაზღვრულ პასუხისმგებელ პირ(ებ)ს.
4. მატერიალური ფორმით არსებული ფინანსური ანგარიშგებების და ბუღალტრული აღრიცხვის დოკუმენტების შენახვაზე პასუხისმგებლობა ეკისრება ხელმძღვანელის ან ხელმძღვანელობისთვის პასუხისმგებელი პირის გადაწყვეტილების საფუძველზე განსაზღვრულ, დოუკუმენტების შენახვაზე პასუხისმგებელ პირ(ებ)ს.
5. ერთეულის სააღრიცხვო ინფორმაციის დამუშავებაზე ან/და ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე პასუხისმგებელია ბუღალტერი.

თავი III. ფინანსური ანგარიშგების მომზადების და სსბასს-ების გამოყენების ზოგადი დებულებები

მუხლი 9. ფინანსური ანგარიშგების მომზადების და წარდგენის ზოგადი დებულებები

1. სსბასს-ების მოთხოვნები გამოიყენება ყველა ერთეულის მიერ, რომლებიც ამზადებენ ფინანსურ ანგარიშგებებს დარიცხვის მეთოდის შესაბამისი საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების (სსბასს-ების) საფუძველზე.
2. სახელმწიფო ერთეულები აღრიცხვა-ანგარიშგებაში ასახავენ როგორც საკუთარი სახელით ფლობილ აქტივებს და აღებულ ვალდებულებებს, მიღებულ შემოსავლებსა და გაწეულ ხარჯებს, ასევე, სახელმწიფოს სახელით ფლობილ აქტივებს, აღებულ ვალდებულებებს, მიღებულ შემოსავლებსა და გაწეულ ხარჯებს (ადმინისტრირებად კატეგორიებს).
3. კონსოლიდირებული წლიური ფინანსური ანგარიშგება – 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდისათვის – მზადდება საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული ფინანსური ანგარიშგების და განმარტებითი შენიშვნების ფორმების შესაბამისად და წარედგინება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურს, საანგარიშგებო წლის მომდევნო წლის 1 აპრილამდე.

4. კონსოლიდირებულ წლიურ ფინანსურ ანგარიშგებასთან ერთად სახაზინო სამსახურში შესაძლებელია წარდგენილ იქნეს სხვა დამატებითი ანგარიშები (ბიუჯეტის შესრულების ანგარიშები, აუდიტის დასკვნები და ა.შ), რომლებიც დაეხმარება ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული ინფორმაციის სწორად აღქმაში.
5. კონტროლირებული ერთეულები წლიურ ანგარიშგებებს წარუდგენენ მაკონტროლებელ ერთეულებს მათ მიერ დადგენილ ვადებში. შესაძლებელია, მაკონტროლებელმა ერთეულებმა კონტროლირებულ ერთეულებს მოთხოვონ ფინანსური ანგარიშგებების წარდგენა დამატებით, შესაბამისი პერიოდულობით.
6. კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში, დადგენილი ფორმით, განსაზღვრულ ვადებში შესაძლებელია მომზადდეს სალიკვიდაციო ფინანსური ანგარიშგება, რომლის წარდგენა უნდა მოხდეს დანიშნულებისამებრ.
7. სახელმწიფო ბიუჯეტის ერთეულების მიერ წარდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების მონაცემების საფუძველზე სახაზინო სამსახური ამზადებს მთავრობის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას სახელმწიფო ბიუჯეტის დონეზე, რომელიც მუნიციპალიტეტების და ავტონომიური რესპუბლიკების კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებთან ერთად ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობის მიზნებისათვის ქვეყნდება სახაზინო სამსახურის ვებგვერდზე – www.treasury.ge.

მუხლი 10. სსბასს-ების გამოყენების ზოგადი დებულებები

1. ერთეულებს მოეთხოვებათ ფინანსურ ანგარიშგებაში/განმარტებით შენიშვნებში ინფორმაციის ასახვასთან/გამჟღავნებასთან დაკავშირებით წინამდებარე ინსტრუქციით თანდართული თითოეული სტანდარტის ყველა მოთხოვნის შესრულება, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს ინსტრუქცია კრძალავს ან სხვაგვარად განსაზღვრავს აღნიშნულ დებულებებს ან განსაზღვრულია წინამდებარე ინსტრუქციის IV თავით, როგორც არასავალდებულო პუნქტები/ქვეპუნტები.
2. მაკონტროლებელმა და კონტროლირებულმა ერთეულებმა ანალოგიური ოპერაციებისა და სხვა მოვლენების მიმართ მიზანშეწონილია გამოიყენონ ერთიანი სააღრიცხვო პოლიტიკა.
3. თუ კონტროლირებული ერთეული ანალოგიური ოპერაციებისა და სხვა მოვლენებისათვის იყენებს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებისთვის განსაზღვრული სააღრიცხვო პოლიტიკისაგან განსხვავებულ სააღრიცხვო პოლიტიკას, მაკონტროლებელმა ერთეულმა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას უნდა გააკეთოს ფინანსური ანგარიშგების შესაბამისი კორექტირება.
4. სსბასს 2-ის – „ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება“ – მოთხოვნები გამოიყენება იმ ერთეულების მიერ, რომლებიც აკონტროლებენ და მართავენ ფულად სახსრებს, მათ შორის:
ა) სახაზინო სამსახურის მიერ, ხაზინის ერთიან ანგარიშზე სახელმწიფო ბიუჯეტის ორგანიზაციების კუთვნილ ფულად სახსრებთან დაკავშირებით;

ბ) უცხო ქვეყნებში საქართველოს საელჩოების და წარმომადგენლობების და, შესაბამისად, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ;
გ) მუნიციპალიტეტების და ავტონომიური რესპუბლიკების მიერ ხაზინის ერთიან ანგარიშზე ადგილობრივი ბიუჯეტების ორგანიზაციების კუთვნილ ფულად სახსრებთან დაკავშირებით;
დ) სხვა ერთეულების მიერ, რომლებიც სსბასს-ების მოთხოვნების შესაბამისად, აკონტროლებენ და მართავენ ფულად სახსრებს.
5. წინამდებარე ინსტრუქციით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად, ერთეულები ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებას ამზადებენ სსბასს 2-ით განსაზღვრული პირდაპირი მეთოდის შესაბამისად.
6. წინამდებარე ინსტრუქციის მიზნებისათვის, სსბასს 2-ით განსაზღვრული გადახდილი/მიღებული პროცენტები და მიღებული დივიდენდები კლასიფიცირდება როგორც ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან.
7. სსბასს 3-ის – „სააღრიცხვო პოლიტიკა, ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში და შეცდომები“ შესაბამისად შერჩეული სააღრიცხვო პოლიტიკის ფარგლებში ერთეული შეიმუშავებს აღრიცხვის და ანგარიშგების შიდამეთოდურ მითითებებს და წესებს, სამუშაო ანგარიშთა გეგმას, პირველადი აღრიცხვის დოკუმენტების და რეგისტრების ფორმებს და ა.შ, რომლებიც მტკიცდება ერთეულის ხელმძღვანელის ან ხელმძღვანელობისთვის პასუხისმგებელი პირის ბრძანებით. ამასთან, კონტროლირებულმა ერთეულმა შესაძლებელია გამოიყენოს მაკონტროლებელი ერთეულის მიერ სააღრიცხვო პოლიტიკის ფარგლებში შემუშავებული შიდამეთოდური მითითებები და წესები.
8. სააღრიცხვო პოლიტიკის ფარგლებში, კანონმდებლობის შესაბამისად, შიდამეთოდური მითითებების და წესების შემუშავების დროს ხელმძღვანელობას შეუძლია გაითვალისწინოს: (ა) მიღებული პრაქტიკა ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების კონკრეტულ საკითხებთან დაკავშირებით; (ბ) საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილება – იმ პირობით, რომ აღნიშნული არ ეწინააღმდეგება წინამდებარე ინსტრუქციის მოთხოვნებს.
9. ერთეულის მიერ სააღრიცხვო პოლიტიკისა და შიდამეთოდური მითითებების/წესების შეცვლა, სსბასს 3-ით – „სააღრიცხვო პოლიტიკა, ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში და შეცდომები“ – განსაზღვრული შემთხვევების გარდა, დასაშვებია აგრეთვე საბიუჯეტო კლასიფიკაციის ცვლილებების შემთხვევაში, იმ შემთხვევაში, როდესაც სააღრიცხვო პოლიტიკა ამა თუ იმ კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით შემუშავებულია საბიუჯეტო კლასიფიკაციის შესაბამისად.
10. წინამდებარე ინსტრუქციის შესაბამისად, სსბასს 4-ით – „უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებებით გამოწვეული შედეგები“ გათვალისწინებული უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები ბუღალტრულ აღრიცხვაში ასახული უნდა იყოს სამუშაო ვალუტაში. საქართველოს ტერიტორიაზე სამუშაო ვალუტას წარმოადგენს ეროვნული ვალუტა – ლარი. ნებადართულია საერთაშორისო ხელშეკრულებებით განსაზღვრული პროექტების (მათ შორის, მოსამზადებელი ეტაპის) განმახორციელებელმა ერთეულებმა, ასევე, უცხო ქვეყნებში საქართველოს

საელჩოებმა და წარმომადგენლობებმა ბუღალტრული აღრიცხვის წამოებისთვის სამუშაო ვალუტად გამოიყენონ ეროვნული ვალუტის – ლარისგან განსხვავებული ვალუტა. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები და უცხოური ერთეულები უნდა გადაანგარიშდეს საანგარიშგებო ვალუტაში (ეროვნულ ვალუტაში – ლარში), ანგარიშგების თარიღისათვის არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად.

11. წინამდებარე ინსტრუქციის შესაბამისად, სსბასს 5-ით – „ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები“ გათვალისწინებული სესხებთან დაკავშირებული დანახარჯები, იმის მიუხედავად, უკავშირდება თუ არა კვალიფიცირებად აქტივებს, აღირიცხება სტანდარტული მეთოდის გამოყენებით, რაც გულისხმობს ასეთი დანახარჯების ხარჯებად აღიარებას იმ პერიოდისთვის, რომელშიც ისინი იქნა გაწეული.

12. სსბასს 9-ის – „შემოსავალი გაცვლითი ოპერაციებიდან“- სტანდარტის გამოყენებისას, შემოსავლების შეფასებისას დასაშვებია გამოყენებულ იქნეს ხელშეკრულებით განსაზღვრული მიღებული ან მისაღები ანაზღაურების ღირებულება, ნებისმიერი საცალო და საბითუმო სავაჭრო ფასდათმობის გათვალისწინებით.

13. სსბასს 12-ის - „მატერიალური მარაგები“ – შესაბამისად, არაგაცვლითი ოპერაციებით საჯარო სექტორის ერთეულებიდან მატერიალური მარაგების მიღების შემთხვევაში, მატერიალური მარაგების ღირებულება შეიძლება განისაზღვროს გადმომცემი ერთეულის მიერ აღნიშნული მატერიალური მარაგების შესაფასებლად გამოყენებული თვითღირებულების ოდენობით ან ღირებულების განსაზღვრისათვის გამოყენებული სხვა თანხით.

14. სსბასს 12-ით „მატერიალური მარაგები“ მოთხოვნილი მიმდინარე ჩანაცვლების ღირებულების და ნეტო სარეალიზაციო ღირებულების დადგენისას, ასევე, არაგაცვლითი ოპერაციის შემთხვევაში მიღებული ისეთი მატერიალური მარაგების შეფასებისას, რომელთაც ღირებულება არ გააჩნიათ, ერთეულს მატერიალური მარაგების სამართლიანი (რეალური) ღირებულების დადგენა შეუძლია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად მიღებული სანდო ინფორმაციის საფუძველზე.

15. სსბასს 13-ის – „იჯარა“ მიზნებისათვის, კონტროლი განისაზღვრება გარიგების შინაარსიდან გამომდინარე. გარიგების იურიდიული ფორმა არ გამოიყენება კონტროლის განსაზღვრისათვის. კონტროლის განსაზღვრისათვის ასევე მნიშვნელოვანია აქტივზე ეკონომიკური უფლება, მიუხედავად აქტივზე იურიდიული საკუთრების უფლებისა.

16. იჯარის ფინანსურ იჯარად კლასიფიცირების მიზნებისათვის, ეკონომიკური მომსახურების ვადის ძირითადი ნაწილი გულისხმობს 75 %-ით და მეტი ვადით აქტივის ფლობას. შეფასების კრიტერიუმად მიზანშეწონილია ერთეულის მიერ აქტივის ღირებულების 75% და მეტი მოცულობით ძირითადი კაპიტალის სახით მოხმარების მაჩვენებლის გამოყენება.

17. იმ შემთხვევაში, თუ უზუფრუქტის ან სხვა სახის სარგებლობის უფლებით მიღებული აქტივების შემთხვევაში დაკმაყოფილებულია ფინანსურ იჯარად

აღიარების კრიტერიუმები, წინამდებარე ინსტრუქციის მიზნებისათვის აღნიშნული აქტივები განიხილება ფინანსური იჯარით მიღებული აქტივების მსგავსად და მათზე ვრცელდება სსბასს 13-ის მოთხოვნები ფინანსური იჯარით მიღებული აქტივების აღრიცხვასა და ანგარიშგებაში ასახვასთან დაკავშირებით.

18. წინამდებარე ინსტრუქციის მიზნებისათვის, სსბასს 14-ით – „ანგარიშგების თარიღის შემდგომი მოვლენები“ ანგარიშგების თარიღის შემდგომი პერიოდი მოიცავს საანგარიშგებო წლის შემდგომ 1 იანვრიდან 1 აპრილამდე პერიოდს.

19. სსბასს 16-ის – „საინვესტიციო ქონება“ – მოთხოვნების გათვალისწინებით, საინვესტიციო ქონება თავდაპირველი აღიარების შემდგომ აისახება თვითღირებულების მოდელის გამოყენებით, რაც გულისხმობს ყოველი წლის ბოლოს საინვესტიციო ქონების საბალანსო ღირებულებით ასახვას ფინანსურ ანგარიშგებაში. არაგაცვლითი ოპერაციებით საინვესტიციო ქონების საჯარო სექტორის ერთეულიდან მიღებისას, საინვესტიციო ქონების შეფასება დასაშვებია გადმომცემი ერთეულის მიერ ღირებულების შესაფასებლად გამოყენებული თვითღირებულების ოდენობით ან ღირებულების განსაზღვრისათვის გამოყენებული სხვა თანხით. სამართლიანი (რეალური) ღირებულების დადგენა ერთჯერადად (ერთეულის მიერ საინვესტიციო ქონების უსასყიდლოდ/ნომინალური ღირებულებით მიღებისას საჯარო სექტორის გარდა სხვა იურიდიული/ფიზიკური პირებიდან ან სარეალიზაციოდ/სხვა ერთეულებზე გადაცემის მიზნით ან როდესაც მისი ღირებულება არ შეესაბამება რეალობას ან იმ შემთხვევაში, როდესაც ცვეთადი ღირებულება სრულადაა ამოწურული) შესაძლებელია სანდო ინფორმაციის არსებობის შემთხვევაში, რაც სამართლიანი ღირებულების მოდელის გამოყენებად არ ჩაითვლება.

20. ერთეულმა საინვესტიციო ქონების ცვეთის გაანგარიშებისთვის უნდა გამოიყენოს წრფივი მეთოდი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აქტივში განივთებული მოსალოდნელი მომავალი ეკონომიკური სარგებლის ან მომსახურების პოტენციალის მიღების ხასიათიდან გამომდინარე კანონმდებლობის, ხელშეკრულების ან/და ტექნიკური დოკუმენტაციის შესაბამისად სხვა რომელიმე მეთოდის (შემცირებადი ნაშთის მეთოდის, წარმოების ერთეულთა ჯამის მეთოდი და სხვ.) გამოყენება მოითხოვება. ამასთან, ერთეულმა ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში უნდა გაამჟღავნოს საინვესტიციო ქონებაზე ცვეთის დარიცხვის მიზნით წრფივი მეთოდის გარდა სხვა მეთოდის გამოყენების შესახებ ინფორმაცია.

21. საინვესტიციო ქონების ცვეთის გაანგარიშებისათვის ერთეულს მოეთხოვება მსგავსი აქტივებისათვის ცვეთის ერთი და იმავე მეთოდის გამოყენება.

22. საინვესტიციო ქონებაზე ცვეთის დარიცხვისათვის გამოყენებული ცვეთადი თანხა განისაზღვრება როგორც საინვესტიციო ქონების თვითღირებულებას ან ღირებულების შესაფასებლად გამოყენებულ სხვა თანხას გამოკლებული ნარჩენი (სალიკვიდაციო) ღირებულება. ნარჩენი (სალიკვიდაციო) ღირებულების დადგენა შესაძლებელია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად მიღებული სანდო ინფორმაციის საფუძველზე. ამასთან, ნარჩენი (სალიკვიდაციო) ღირებულება, საჯარო სექტორის სპეციფიკის გათვალისწინებით, შესაძლებელია ნულის ტოლი იყოს.

23. საინვესტიციო ქონების ღირებულების განსაზღვრის მიზნით, სამართლიანი (რეალური) ღირებულებით შეფასების ერთჯერადად გამოყენების შემთხვევაში, აფასება განიხილება კაპიტალის კორექტირებად (რეტროსპექტული გაანგარიშება), ხოლო ჩამოფასება – გაუფასურებად.
24. საინვესტიციო ქონების ღირებულების განსაზღვრის მიზნით, სამართლიანი (რეალური) ღირებულებით შეფასების ერთჯერადად გამოყენების შემთხვევაში, საჭიროა განმარტებით შენიშვნებში შემდეგი ინფორმაციის წარმოდგენა:
ა) სამართლიანი (რეალური) ღირებულებით შეფასების თარიღი:
ბ) საინვესტიციო ქონების სამართლიანი (რეალური) ღირებულებით შეფასების თანხა.
25. სსბასს 17-ის – „ძირითადი აქტივები“ – მოთხოვნების გათვალისწინებით, ძირითადი აქტივები თავდაპირველი აღიარების შემდგომ აისახება თვითღირებულების მოდელის გამოყენებით, რაც გულისხმობს ყოველი წლის ბოლოს ძირითადი აქტივების საბალანსო ღირებულებით ასახვას ფინანსურ ანგარიშგებაში. არაგაცვლითი ოპერაციებით ძირითადი აქტივების საჯარო სექტორის ერთეულიდან მიღებისას, ძირითადი აქტივების შეფასება დასაშვებია გადმომცემი ერთეულის მიერ ღირებულების შესაფასებლად გამოყენებული თვითღირებულების ოდენობით ან ღირებულების განსაზღვრისათვის გამოყენებული სხვა თანხით. სამართლიანი (რეალური) ღირებულების დადგენა ერთჯერადად (ერთეულის მიერ ძირითადი აქტივების უსასყიდლოდ/ნომინალური ღირებულებით მიღებისას საჯარო სექტორის გარდა სხვა იურიდიული/ფიზიკური პირებიდან ან სარეალიზაციოდ/სხვა ერთეულებზე გადაცემის მიზნით ან როდესაც მისი ღირებულება არ შეესაბამება რეალობას ან იმ შემთხვევაში, როდესაც ცვეთადი ღირებულება სრულადაა ამოწურული) შესაძლებელია სანდო ინფორმაციის არსებობის შემთხვევაში, რაც გადაფასების მოდელის გამოყენებად არ ჩაითვლება.
26. ძირითადი აქტივების თვითღირებულება წარმოადგენს აღიარების თარიღისთვის ფულადი სახსრებით გადასახდელი ფასის ეკვივალენტს, ან არაგაცვლითი ოპერაციისას მითითებული ძირითადი აქტივების შემთხვევაში, აღიარების თარიღისთვის დადგენილ მის სამართლიან (რეალურ) ღირებულებას. ამასთან, თუ გადახდა გადავადებულია და გადავადების პირობები სცილდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობების ფარგლებს, მაშინ სხვაობა ფულადი სახსრების გადასახდელი ფასის ეკვივალენტსა და მთლიანად გადასახდელ თანხას შორის აღიარდება როგორც საპროცენტო ხარჯი კრედიტის ვადის განმავლობაში.
27. სსბასს 17 არ ავალდებულებს ერთეულს, აღიაროს ის კულტურული მემკვიდრეობის აქტივები, რომლებიც სხვა შემთხვევაში დააკმაყოფილებდა ძირითადი აქტივების ცნებას და აღიარების კრიტერიუმებს. ამ შემთხვევაში მიზანშეწონილია ამ აქტივების შესახებ ინფორმაციის წარმოდგენა ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში. ერთეულის მიერ კულტურული მემკვიდრეობის აქტივების ძირითად აქტივებად აღიარების შემთხვევაში რეკომენდებულია შეფასება მოხდეს სანდო ინფორმაციის საფუძველზე, სამართლიანი (რეალური) ღირებულებით.

28. ერთეულმა ძირითადი აქტივების ცვეთის გაანგარიშებისთვის უნდა გამოიყენოს წრფივი მეთოდი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აქტივში განივთებული მოსალოდნელი მომავალი ეკონომიკური სარგებლის ან მომსახურების პოტენციალის მიღების ხასიათიდან გამომდინარე კანონმდებლობის, ხელშეკრულების ან/და ტექნიკური დოკუმენტაციის შესაბამისად სხვა რომელიმე მეთოდის (შემცირებადი ნაშთის მეთოდის, წარმოების ერთეულთა ჯამის მეთოდი და სხვ.) გამოყენება მოითხოვება. ამასთან, ერთეულმა ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში უნდა გაამჟღავნოს ძირითად აქტივებზე ცვეთის დარიცხვის მიზნით წრფივი მეთოდის გარდა სხვა მეთოდის გამოყენების შესახებ ინფორმაცია.
29. ძირითადი აქტივების ცვეთის გაანგარიშებისათვის ერთეულს მოეთხოვება მსგავსი აქტივებისათვის ცვეთის ერთი და იმავე მეთოდის გამოყენება.
30. ძირითად აქტივებზე ცვეთის დარიცხვისათვის გამოყენებული ცვეთადი თანხა განისაზღვრება როგორც ძირითადი აქტივის თვითღირებულებას ან ღირებულების შესაფასებლად გამოყენებულ სხვა თანხას გამოკლებული ნარჩენი (სალიკვიდაციო) ღირებულება. ნარჩენი (სალიკვიდაციო) ღირებულების დადგენა შესაძლებელია მოქმედი კანონმდებლობის შედეგად მიღებული სანდო ინფორმაციის საფუძველზე. ამასთან, ნარჩენი (სალიკვიდაციო) ღირებულება, საჯარო სექტორის სპეციფიკის გათვალისწინებით, შესაძლებელია ნოლის ტოლი იყოს.
31. ძირითადი აქტივების ღირებულების განსაზღვრის მიზნით, სამართლიანი (რეალური) ღირებულებით შეფასების ერთჯერადად გამოყენების შემთხვევაში, აფასება განიხილება კაპიტალის კორექტირებად (რეტროსპექტული გაანგარიშება), ხოლო ჩამოფასება – გაუფასურებად.
32. ძირითადი აქტივის ღირებულების განსაზღვრის მიზნით, სამართლიანი (რეალური) ღირებულებით შეფასების ერთჯერადად გამოყენების შემთხვევაში, საჭიროა განმარტებით შენიშვნებში შემდეგი ინფორმაციის წარმოდგენა:
ა) სამართლიანი (რეალური) ღირებულებით შეფასების თარიღი:
ბ) ძირითადი აქტივის სამართლიანი (რეალური) ღირებულებით შეფასების თანხა.
33. სსბასს 19-ის – „ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები“ – მოთხოვნების გათვალისწინებით, ერთეულმა უნდა (ა) განსაზღვროს ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები და (ბ) წარმოადგინოს ის გარემოებები, რომლებშიც უნდა მოხდეს ანარიცხების აღიარება, მათი შეფასება და მათ შესახებ ინფორმაციის განმარტებით შენიშვნებში წარდგენა.
34. პირობითი ვალდებულებების და პირობითი აქტივების შესახებ ინფორმაცია, გარდა განმარტებით შენიშვნებში ინფორმაციის გამჟღავნებისა, ასევე, შესაძლებელია აისახოს შესაბამის საცნობარო ანგარიშებზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში).
35. ანარიცხების აღიარების საფუძველი არ არის პირველადი აღრიცხვის დოკუმენტი. ერთეულმა შეიძლება შეიმუშავოს შესაბამისი პირველადი აღრიცხვის დოკუმენტი, რომელსაც გამოიყენებს ანარიცხების აღიარების მიზნებისათვის. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ანარიცხების ასახვა ხდება საბალანსო მუხლად ერთეულის მიერ სააღრიცხვო პოლიტიკით განსაზღვრული კრიტერიუმების, პროცედურების და დამადასტურებელი დოკუმენტების საფუძველზე (ასეთის

არსებობის შემთხვევაში). ერთეულის მიერ ანარიცხებით ვალდებულების აღიარება ხდება შესაბამისი საბიუჯეტო ასიგნების გარეშე.
36. სსბასს 20-ის – „დაკავშირებულ მხარეთა შესახებ განმარტებითი შენიშვნები“ – მოთხოვნების გათვალისწინებით, ერთეულს მოეთხოვება დაკავშირებულ მხარეთა შესახებ ინფორმაციის გამჟღავნება ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში. ამასთან, დაკავშირებულ მხარეებთან ურთიერთობის ყველა შესაძლო შემთხვევის განხილვა ხდება ურთიეთობის შინაარსის და არა სამართლებრივი ფორმის მიხედვით.
37. სსბასს 21-ის – „ფულადი სახსრების არწარმომქმნელი აქტივების გაუფასურება“ – მოთხოვნების გათვალისწინებით, ერთეულებს მოეთხოვებათ დაადგინონ როგორც თვითღირებულებით აღრიცხული, ასევე, ერთჯერადი გადაფასების შედეგად სამართლიანი (რეალური) ღირებულებით შეფასებული ფულადი სახსრების არწარმომქმნელი აქტივების შესაძლო გაუფასურება და შესაბამისად, მისი დადასტურების შემთხევაში, პერიოდის ნამეტსა და დეფიციტში აღიარონ გაუფასურების ზარალი. პერიოდის ნამეტსა და დეფიციტში ასევე უნდა აღიარდეს გაუფასურების ზარალის უკუგატარებით წარმოქმნილი შემოსავლები. ამასთან, გაუფასურების აღრიცხვისა და ანგარიშგების მიზნებისათვის, მომსახურების აღდგენითი ღირებულების დასადგენად სამართლიანი (რეალური) ღირებულების განსაზღვრა შესაძლებელია მოქმედი კანონმდებლობის შედეგად მიღებული სანდო ინფორმაციის საფუძველზე.
38. სსბასს 23-ის – „შემოსავალი არაგაცვლითი ოპერაციებიდან (გადასახადები და ტრანსფერები)“ – მოთხოვნები გამოიყენება გადასახადების და ტრანსფერების აღრიცხვისათვის, ასევე, არაგაცვლითი ოპერაციების შესახებ მნიშვნელოვანი ინფორმაციის განმარტებით შენიშვნებში გასამჟღავნებლად.
39. სსბასს 24-ის – „ბიუჯეტის შესახებ ინფორმაციის წარდგენა ფინანსურ ანგარიშგებაში“ – მოთხოვნები გამოიყენება საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული ფინანსური ანგარიშგების და განმარტებითი შენიშვნების ფორმებით განსაზღვრული ბიუჯეტის და ფაქტობრივი თანხების შედარების ანგარიშგების მოსამზადებლად, ასევე, აღნიშნულ თანხებს შორის არსებითი განსხვავებების მიზეზების განმარტებით შენიშვნებში გასამჟღავნებლად.
40. დამტკიცებული ბიუჯეტი ერთეულს თანხების განსაზღვრული და შეთანხმებული მიზნებისათვის განკარგვის უფლებამოსილებას ანიჭებს. განკარგვის უფლებამოსილებად განიხილება კანონით დადგენილი ასიგნება – დაზუსტებული (საბოლოო) ბიუჯეტი, რომლის ფარგლებშიც უწევს ერთეულს ფუნქციონირება.
41. საჯარო ანგარიშვალდებულების მიზნით, ერთეულმა ბიუჯეტის გეგმური თანხების ფაქტობრივ თანხებთან შედარება უნდა წარადგინოს როგორც ფინანსური ანგარიშგების ერთ-ერთი კომპონენტი. ბიუჯეტის გეგმური და ფაქტობრივი თანხების შედარების მიზნით უნდა იყოს წარმოდგენილი შემდეგი ინფორმაცია:
ა) დამტკიცებული (თავდაპირველი) და დაზუსტებული (საბოლოო) ბიუჯეტის თანხები;

ბ) ფაქტობრივი თანხები შედარების მეთოდით; და
გ) განმარტებითი შენიშვნების სახით ბიუჯეტის გეგმური თანხებსა, რომლისთვისაც ერთეულს გააჩნია საჯარო ანგარიშვალდებულება, და ფაქტობრივ თანხებს შორის არსებითი განსხვავებების შესახებ განმარტებითი შენიშვნები, თუ ასეთი განმარტებები არ არის მოცემული ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებით გამოცემულ სხვა საჯარო დოკუმენტებში და განმარტებით შენიშვნებში ამ დოკუმენტებზე გაკეთებული არ არის შესაბამისი მითითება.
42. სსბასს 26-ის – „ფულადი სახსრების წარმომქმნელი აქტივების გაუფასურება“- მოთხოვნების გათვალისწინებით, ერთეულებს მოეთხოვებათ დაადგინონ როგორც თვითღირებულებით აღრიცხული, ასევე ერთჯერადი გადაფასების შედეგად სამართლიანი (რეალური) ღირებულებით შეფასებული ფულადი სახსრების წარმომქმნელი აქტივების შესაძლო გაუფასურება და შესაბამისად, მისი დადასტურების შემთხვევაში, პერიოდის ნამეტსა და დეფიციტში აღიარონ გაუფასურების ზარალი. პერიოდის ნამეტსა და დეფიციტში ასევე უნდა აღიარდეს გაუფასურების ზარალის უკუგატარებით წარმოქმნილი შემოსავლები. ამასთან, გაუფასურების აღრიცხვისა და ანგარიშგების მიზნებისათვის, აღდგენითი ღირებულების დასადგენად სამართლიანი (რეალური) ღირებულების განსაზღვრა შესაძლებელია მოქმედი კანონმდებლობის შედეგად მიღებული სანდო ინფორმაციის საფუძველზე.
43. წინამდებარე ინსტრუქციის შესაბამისად, სსბასს 31-ით – „არამატერიალური აქტივები“ – გათვალისწინებული არამატერიალური აქტივები თავდაპირველი აღიარების შემდგომ აისახება თვითვითღირებულების მოდელის გამოყენებით, რაც გულისხმობს ყოველი წლის ბოლოს არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულებით ასახვას ფინანსურ ანგარიშგებაში. არაგაცვლითი ოპერაციებით არამატერიალური აქტივების საჯარო სექტორის ერთეულიდან მიღებისას, არამატერიალური აქტივების შეფასება დასაშვებია გადმომცემი ერთეულის მიერ ღირებულების შესაფასებლად გამოყენებული თვითღირებულების ოდენობით ან ღირებულების განსაზღვრისათვის გამოყენებული სხვა თანხით. სამართლიანი (რეალური) ღირებულების დადგენა ერთჯერადად (ერთეულის მიერ არამატერიალური აქტივების უსასყიდლოდ/ნომინალური ღირებულებით მიღებისას საჯარო სექტორის გარდა სხვა იურიდიული/ფიზიკური პირებიდან ან სარეალიზაციოდ/სხვა ერთეულებზე გადაცემის მიზნით ან როდესაც მისი ღირებულება არ შეესაბამება რეალობას ან იმ შემთხვევაში, როდესაც ამორტიზირებადი ღირებულება სრულადაა ამოწურული) შესაძლებელია სანდო ინფორმაციის არსებობის შემთხვევაში, რაც გადაფასების მოდელის გამოყენებად არ ჩაითვლება.
44. არამატერიალური აქტივების ღირებულების განსაზღვრის მიზნით, სამართლიანი (რეალური) ღირებულებით შეფასების ერთჯერადად გამოყენების შემთხვევაში, აფასება განიხილება კაპიტალის კორექტირებად (რეტროსპექტული გაანგარიშება), ხოლო ჩამოფასება – გაუფასურებად.

45. არამატერიალური აქტივის ღირებულების განსაზღვრის მიზნით, სამართლიანი (რეალური) ღირებულებით შეფასების ერთჯერადად გამოყენების შემთხვევაში, საჭიროა განმარტებით შენიშვნებში შემდეგი ინფორმაციის წარმოდგენა:
ა) სამართლიანი (რეალური) ღირებულებით შეფასების თარიღი:
ბ) ძირითადი აქტივის სამართლიანი (რეალური) ღირებულებით შეფასების თანხა.
46. განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე არამატერიალურ აქტივებს ამორტიზაცია არ დაერიცხება.
47. განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე არამატერიალურ აქტივებს ამორტიზაცია დაერიცხება სასარგებლო მომსახურების ვადის პროპორციულად, თუ სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა შესაძლებელია, წინააღმდეგ შემთხვევაში, 10 წლის განმავლობაში.
48. ერთეულმა არამატერიალური აქტივების ამორტიზაციის გაანგარიშებისთვის უნდა გამოიყენოს წრფივი მეთოდი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აქტივში განივთებული მოსალოდნელი მომავალი ეკონომიკური სარგებლის ან მომსახურების პოტენციალის მიღების ხასიათიდან გამომდინარე კანონმდებლობის, ხელშეკრულების ან/და ტექნიკური დოკუმენტაციის შესაბამისად სხვა რომელიმე მეთოდის (შემცირებადი ნაშთის მეთოდის, წარმოების ერთეულთა ჯამის მეთოდი და სხვ.) გამოყენება მოითხოვება. ამასთან, ერთეულმა ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში უნდა გაამჟღავნოს არამატერიალურ აქტივებზე ამორტიზაციის დარიცხვის მიზნით წრფივი მეთოდის გარდა სხვა მეთოდის გამოყენების შესახებ ინფორმაცია.
49. არამატერიალური აქტივების ამორტიზაციის გაანგარიშებისათვის ერთეულს მოეთხოვება მსგავსი აქტივებისათვის ამორტიზაციის ერთი და იგივე მეთოდის გამოყენება.
50. არამატერიალურ აქტივებზე ამორტიზაციის დარიცხვისათვის გამოყენებული ამორტიზირებადი თანხა განისაზღვრება როგორც არამატერიალური აქტივის თვითღირებულებას ან ღირებულების შესაფასებლად გამოყენებულ სხვა თანხას გამოკლებული ნარჩენი (სალიკვიდაციო) ღირებულება. ნარჩენი (სალიკვიდაციო) ღირებულების დადგენა შესაძლებელია მოქმედი კანონმდებლობის შედეგად მიღებული სანდო ინფორმაციის საფუძველზე. ამასთან, ნარჩენი (სალიკვიდაციო) ღირებულება, საჯარო სექტორის სპეციფიკის გათვალისწინებით, შესაძლებელია ნოლის ტოლი იყოს.
51. სსბასს 32-ის – „შეღავათიანი მომსახურების შეთანხმებები: უფლების გადამცემი“ მოთხოვნები გამოიყენება უფლების გადამცემის მიერ შეღავათიანი მომსახურების შეთანხმებების აღიარებისა და შეფასებისთვის, ასევე, ასეთი შეთანხმებების შესახებ ინფორმაციის განმარტებით შენიშვნებში გასამჟღავნებლად.
52. წინამდებარე ინსტრუქციის მიზნებისათვის, სსბასს 34 – „ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება“ განსაზღვრავს მაკონტროლებელი ან/და კონტროლირებული ერთეულების ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადების და წარდგენის ძირითად მოთხოვნებს.

53. წინამდებარე ინსტრუქციის მიზნებისათვის, სსბასს 35 – „კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება“ განსაზღვრავს მაკონტროლებელი ერთეულის მიერ ეკონომიკური ერთეულის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების და წარდგენის ძირითადი მოთხოვნებს. ამასთან, საბიუჯეტო ორგანიზაციების მონაცემები სრულად კონსოლიდირდება, ხოლო სხვა ერთეულებში არსებული წილების ასახვისათვის გამოიყენება კაპიტალ-მეთოდი.
54. სსბასს 36-ის – „ინვესტიციები მეკავშირე ერთეულებსა და ერთობლივ საქმიანობებში“ განსაზღვრავს მეკავშირე ერთეულებსა და ერთობლივ საქმიანობებში ინვესტიციების კაპიტალ-მეთოდით აღრიცხვის წესებს და მოთხოვნებს. ამასთან, წინამდებარე ინსტრუქციის მიზნებისათვის, სახელმწიფო კომერციულ საწარმო(ებ)ში ჩადებული ინვესტიცი(ებ)ი განიხილება მეკავშირე ერთეულებსა და ერთობლივ საქმიანობაში განხორციელებული ინვესტიციების მსგავსად და აღრიცხვა-ანგარიშგებაში აისახება კაპიტალ-მეთოდის შესაბამისად.
55. სსბასს 37 – „ერთობლივი შეთანხმებები“ ადგენს ფინანსური ანგარიშგების პრინციპებს იმ ერთეულებისათვის, რომლებსაც გააჩნიათ წილი ერთობლივად კონტროლირებულ შეთანხმებებში (ერთობლივ შეთანხმებებში).
56. სსბასს 38-ის – „სხვა ერთეულებში წილების გამჟღავნება“ მოთხოვნები გამოიყენება ცენტრალური ხელისუფლების საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ.
57. წინამდებარე ინსტრუქციის მიზნებისათვის, სსბასს 39 „დაქირავებულთა სარგებელი“ განსაზღვრავს დაქირავებულთა ყველა სახის სარგებლის (საბიუჯეტო კლასიფიკაციის ყველა მუხლის მიხედვით) აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში ასახვის წესებსა და მოთხოვნებს.
58. სსბასს 40-ის – „საჯარო სექტორის ერთეულთა გაერთიანებები“ მოთხოვნები გამოიყენება ცენტრალური ხელისუფლების საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ.

თავი IV. გარდამავალი დებულებები

მუხლი 11. სსბასს-ების არასავალდებულო პუნქტები/ქვეპუნქტები

იმისათვის, რომ ფინანსური ანგარიშგება სამართლიანად ასახავდეს ერთეულის ფინანსურ მდგომარეობას, საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების ნაკადებს. 2027 წლის 1 იანვრამდე არ არის სავალდებულო გამოსაყენებლად ზემოაღნიშნული სტანდარტების შემდეგი პუნქტები/ქვეპუნქტები:

სტანდარტი	პუნქტი/ქვეპუნქტი
სსბასს 1	პუნქტი 7ა
	პუნქტები 19-20
	პუნქტი 44
	პუნქტები 64-65
	პუნქტები 67-68

	პუნქტები 73-74
	პუნქტები 89-90
	პუნქტები 95 -98
	პუნქტი 101
	პუნქტები 104-105
	პუნქტი 117
	პუნქტი 119, „ა“ ქვეპუნქტი
	პუნქტი 122
	პუნქტი 139
	პუნქტები 148დ-149
სსბასს 2	პუნქტი 10
	პუნქტი 22, „კ“ ქვეპუნქტი
	პუნქტი 23
	პუნქტი 24
	პუნქტი 27, „ბ“ ქვეპუნქტი
	პუნქტი 30
	პუნქტი 38
	პუნქტი 41
	პუნქტები 42-43
	პუნქტი 45
	პუნქტი 52
სსბასს 3	პუნქტი 22
სსბასს 4	პუნქტი 25
	პუნქტები 30-31
	პუნქტი 36
	პუნქტი 46
	პუნქტი 59
	პუნქტი 61, „ა“ ქვეპუნქტი
სსბასს 5	პუნქტი 9
	პუნქტი 13

	პუნქტები 17-22
	პუნქტები 23-39
	პუნქტი 40, „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტები
სსბასს 12	პუნქტები 26
	პუნქტი 29
სსბასს 13	პუნქტი 45
	პუნქტები 54-59
	პუნქტი 68
	პუნქტები 70-78
სსბასს 14	პუნქტები 7-8
	პუნქტი 13. „ა“ ქვეპუნქტი
	პუნქტები 14-16
სსბასს 16	პუნქტი 8
	პუნქტი 33
	პუნქტი 35
	პუნქტები 39-64
	პუნქტები 71-76
	პუნქტი 81
	პუნქტი 86, „ბ“ ქვეპუნქტი
	პუნქტები 87-88
სსბასს 17	პუნქტი 37
	პუნქტი 42
	პუნქტი 44
	პუნქტები 49-51ა
	პუნქტები 53-58
	პუნქტები 76-78ა
	პუნქტი 87
	პუნქტი 90
	პუნქტები 92-93

სსბასს 19	პუნქტი 13, „ა“ ქვეპუნქტი
	პუნქტი 89
სსბასს 20	პუნქტები 23-24
სსბასს 21	პუნქტები 54-54ა
	პუნქტები 69-69ა
	პუნქტი 73, „გ“ და „დ“ ქვეპუნქტები
	პუნქტი 76
	პუნქტი 77, „დ“ ქვეპუნქტი
სსბასს 24	პუნქტი 9
	პუნქტი 11
	პუნქტი 24
	პუნქტი 27
	პუნქტი 38
	პუნქტი 48, „ბ“ ქვეპუნქტი
სსბასს 26	პუნქტები 73-73ა
	პუნქტები 108-108ა
	პუნქტები 119-120
სსბასს 31	პუნქტი 39
	პუნქტი 45
	პუნქტები 71-72
	პუნქტები 74-86
	პუნქტები 97-97გ
	პუნქტი 103
	პუნქტი 105
	პუნქტი 114ა
	პუნქტი 115
	პუნქტები 123-124

სსბასს 32	პუნქტი 20
სსბასს 34	პუნქტი 10
	პუნქტი 12, „ბ“ ქვეპუნქტი
	პუნქტები 13-14
	პუნქტები 21-22
	პუნქტები 25-27
სსბასს 35	პუნქტები 43-45
	პუნქტები 55-58
	პუნქტი 63
	პუნქტები 70-72
სსბასს 36	პუნქტი 20
	პუნქტები 23-25
	პუნქტი 26, „ა“, „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტები
	პუნქტები 43-45
სსბსს 37	პუნქტი 24ა
	პუნქტი 28
	პუნქტი 41ა
სსბსს 39	პუნქტი 20
	პუნქტები 26 -161